

საქართველოს საზღვრის კარტოგრაფიული და გეომეტრიული მახასიათებლები,
გეოგრაფიული ცენტრის განსაზღვრა

დავით სვანაძე

ელ-ფოსტა: dato.svanadze@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო

ქვეყნის საზღვრის კარტოგრაფიული მახასიათებლების და გეომეტრიული პარამეტრების მაღალი სიზუსტე მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც გეოგრაფიული მეცნიერებებისათვის ასევე სახელმწიფო უსაფრთხოებისა და პოლიტიკისათვის. უნდა აღინიშნოს რომ ლიტერატურაშიც, ოფიციალურ და არაოფიციალურ ინტერნეტ წყაროებშიც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის, საზღვაო და სახმელეთო პერიმეტრის, უკიდურესი წერტილების კოორდინატების და გეოგრაფიული ცენტრის შესახებ განსხვავებული მონაცემებია გავრცელებული, რაც ერთგვარ ლაფსუს წარმოადგენს. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია საკითხის გადაწყვეტის მეთოდოლოგიური სირთულით. ტოპოგრაფიულ რუკებზე კარტომეტრიული გაზომვების, კოორდინატების ამოცნობის სამუშაოების წარმოება გეოსაინფორმაციო სისტემების განვითარებამდე დიდ ადამიანურ რესურს მოითხოვდა, ამიტომ რთული იყო გაზომვების მაღალი სიზუსტით წარმოება, ამას ემატებოდა ის რომ ტოპოგრაფიული რუკის ფურცლები მხოლოდ ტერიტორიის ნაწილს მოიცავს და მათი ერთანად კომპოზიციად აწყობა და გაზომვების ისე ჩატარება დამატებით სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

თემის ფარგლებში განვიხილავთ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ზოგად კარტოგრაფიულ პარამეტრებს და მათი გამოთვლის მეთოდოლოგიას თანამედროვე კომპიუტერული უზრუნველყოფის გამოყენებით. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კარტოგრაფიული პარამეტრების გამოთვლა მოხდა ჩვენს ხელთ არსებული 1:25 000 და 1:50 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკების საფუძველზე, ახალი აეროსურათების დახმარებით. შედეგები დამუშავდა გეოსაინფორმაციო პროგრამებში (ArcGis, Qgis) და საოფისე პროგრამა Excel-ში.